ოქმი #9

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ქ. ცაგერი 03 მაისი, 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: გ. გუგავა, მ. კოპალიანი

საკრებულოს წევრები: კ. მუშკუდიანი, ზ. ყურაშვილი, მ. ყურაშვილი, ე. საღინაძე, გ. გოგებაშვილი, ო. ჩაკვეტაძე, ნ. საღინაძე, მ. მამარდაშვილი, თ. ნემსწვერიძე, მ. ახვლედიანი, ნ. ბურჯალიანი, ნ. ტვილდიანი, გ. გურგუჩიანი, რ. ყურაშვილი, გ. კოპალიანი, დ. მურცხვალაძე, ი. ყურაშვილი, ა. თვარაძე, გ. ახვლედიანი, ა. მახარობლიძე.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: მ. ლეთოდიანი
მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი: გ. ხმელიძე

საკრებულოს აპარატის უფროსის ფუნქციების შემსრულებელი: მ. თოდიძე
საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: ნ. მეგრელი

დღის წესრიგი

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 3 თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.
/რ. ხეცურიანი, კ. მუშკუდიანი/

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლებში სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ.
/რ. ხეცურიანი, მ. ხაბულიანი/

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან ქ. ცაგერის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის პროექტის თანადაფინანსებისთვის თანხის გამოყოფაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.
/ა. თუთისანი, მ. ლეთოდიანი/

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქალაქ ცაგერში რუსთაველის ქუჩა №69-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 89.03.22.002) 5 კვ. მ. ფართობის კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.
/ა. თუთისანი, გ. ხმელიძე/

5. „ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2022 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 04 მაისის №24 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ა. თუთისანი, გ. ხმელიძე/

გადაწყდა, რომ სხდომაზე დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებზე კენჭისყრა მოეწყოს ღიად:

/საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 23 დეპუტატი/

დღის წესრიგი

განკარგულებები:

1. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 3 თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

/რ. ხეცურიანი, კ. მუშკუდიანი/

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა კარლო მუშკუდიანმა ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 3 თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია შეაფასა დადებითად, აღნიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს: სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსების სრულად განხორციელებას და სოფლის მხარდაჭერის პროექტებისათვის გამოყოფილი თანხის დროულად და ხარისხიანად შესრულებას. ბიუჯეტის ყოველკვარტალური გეგმის შესრულებაზე დაწესდეს მკაცრი კონტროლი

ინფორმაცია მიღებული იქნა ცნობად.

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფლებში სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი) არაბული ციფრებით სახელდების შესახებ.

/რ. ხეცურიანი, მ. ხაბულიანი/

აზრი გამოთქვეს: ნ. ტვილდიანმა, ნ. საღინაძემ, რ. ხეცურიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 23
წინააღმდეგი: 0

3. ცაგერის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან ქ. ცაგერის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის პროექტის თანადაფინანსებისთვის თანხის გამოყოფაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

/ა. თუთისანი, მ. ლეთოდიანი/

აღნიშნული პროექტის შესახებ ისაუბრა მომხსენებელმა - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა მამუკა ლეთოდიანმა. ბატონმა მამუკამ აღნიშნა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობამ განცხადებით მომართა მერიას, ცაგერის საჯარო სკოლას დაგეგმილი აქვს განახორციელოს სასკოლო პროექტი ,,გარე სივრცე (სკოლის ტერიტორია) ტელეფონის გარეშე". პროექტის განხორციელებისათვის საჯარო სკოლას სათანადო ფინანსები არ აქვს და ითხოვენ მუნიციპალიტეტიდან ფინანსურ დახმარებას 1500-2000 ლარის ოდენობით. დასმულ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში თანხა გამოიყოფა მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესაბამისი მუხლიდან.

აზრი გამოთქვეს: ზ. ყურაშვილმა, ე. საღინაძემ, რ. ხეცურიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 23
წინააღმდეგი: 0

4. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქალაქ ცაგერში რუსთაველის ქუჩა №69-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 89.03.22.002) 5 კვ. მ. ფართობის კომერციული საქმიანობისათვის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით-იჯარით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

/ა. თუთისანი, გ. ხმელიძე/

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით განმარტა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა დაინტერესებულმა პირმა და მოითხოვა ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რუსთაველის ქ. №69-ში 5 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით - იჯარით გადაცემა. ამჟამად ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ არ იგეგმება აღნიშნული უძრავი ქონების რაიმე სხვა მიზნით გამოყენება და აქედან გამომდინარე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს მიზანშეწონილად მიაჩნია ამ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - იჯარით გაცემა.

აზრი გამოთქვეს: თ. ნემსწვერიძემ, გ. გუგავამ, რ. ხეცურიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23-მა დეპუტატმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 23
წინააღმდეგი: 0

5. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2022 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 04 მაისის №24 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ა. თუთისანი, გ. ხმელიძე/

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ხმელიძემ გააკეთა განმარტება, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას ქ. ცაგერში რუსთაველის ქ. №39-ში საკუთრებაში გააჩნია უძრავი ქონება. აღნიშნული შენობის პირველ სართულზე არსებული 21.00 კვ.მ. ფართი კეთილმოუწყობელი და გამოუყენებელია, ამავე საკადასტრო კოდზე დამაგრებულია 20.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი (უკანა მხარე).

ცაგერის მუნიციპალიტეის მერია ითხოვს თანხმობას აღნიშნული 21.00 კვ.მ. ფართი (ერთი ოთახი) და 20.00 კვ.მ. მიწის ფართობის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანაზე.

აზრი გამოთქვეს: გ. ახვლედიანმა, ო. ჩაკვეტაძემ, რ. ხეცურიანმა
აღნიშნული განკარგულების პროექტის განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ
კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა დეპუტატმა, კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარი
განაცხადა ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" თავმჯდომარემ ნინო ტვილდიანმა
განკარგულება მიღებული იქნა (თან ერთვის)
მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე -
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: რეზო ხეცურიანი